სახელმწიფო სერვისების
განვითარების საგენტო

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო
დოკუმენტაციის შესყიდვის მიზნით
საკონკურსო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი № 3

ქ. თბილისი 24 აპრილი, 2013 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: ნინო ინწკირველი

საკონკურსო კომისიის წევრები: მამუკა სამხარაძე, ზვიად ნადირაძე,
მალხაზ ტაბლიაშვილი, ოლეგ დოლიძე.

საკონკურსო კომისიის აპარატის
წევრები: გიორგი მესხი
ლაშა ბოკუჩავა

დღის წესრიგი: ქ. თბილისში, არქივის შენობის განსათავსებლად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვის მიზნით, კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ–გვერდზე 2013 წლის 27 მარტს გამოცხადებულ #710 კონკურსში კონკურსანტების მერ წარმოდგენილი წინადადების შეფასება, გამარჯვებულის გამოვლენა.

მოისმინეს: საკონკურსო კომისიის წევრის, მალხაზ ტაბლიაშვილის გამოსვლა, რომელმაც საკონკურსო კომისიას მოახსენა, რომ საკონკურსო დოკუმენტაციით განსაზღვრულ ვადაში წინადადება დალუქული კონვერტის სახით წარმოადგინა ორმა კონკურსანტმა: შპს „ოპტიმუსმა“ და შპს „ტოპ დიზაინმა“.

შპს „ოპტიმუსი“-ს წინადადების განხილვისას ვლინდება, რომ პრეტენდენტის საკონკურსო წინადადება შეიცავს ხარვეზს. კერძოდ, შემსყიდველი ორგანიზაციის საკონკურსო დოკუმენტით გათვალისწინებულია, რომ საკონკურსო წინადადების ფასი კონკურსში მონაწილეებს უნდა წარმოედგინათ საკონკურსო დოკუმენტის დანართი #2–ის მიხედვით. „კონკურსანტის შემოთავაზება“–ს (დანართი #2) „საკონკურსო წინადადების ღირებულება“–ში „გარე განაშენიანება“ ნაცვლად 300 კვ.მ–ისა, მითითებულია 400 კვ.მ., ხოლო „არქივის შენობა“ ნაცვლად 2350 კვ.მ–ისა მითითებულია 2200 კვ.მ.. კონკურსანტის მიერ მოცემული ერთეულის ღირებულებების და შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის მოცულობის გათვალისწინებით, საკონკურსო წინადადების ღირებულება ნაცვლად 20000 ლარისა, შეადგენს

21300 ლარს, რაც აღემატება შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებას – 21000 ლარს. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან შპს „ოპტიმუსი“-ს წინადადების განხილვის გაგრძელებით შემსყიდველი ორგანიზაცია შესაძლებელია აღმოჩნდეს რისკის ქვეშ გააფორმოს ხელშეკრულება შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე მაღალი ფასით, მიზანშეწონილად მიმაჩნია შპს „ოპტიმუსი“ დისკვალიფიცირებულ იქნეს კონკურსიდან.

შპს „ტოპ დიზაინი“-ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება შესაბამისობაშია საკონკურსო განცხადების მოთხოვნებთან და მიზანშეწონილად მიმაჩნია განხორციელდეს მის მიერ წარმოდგენილი წინადადების შეფასება.

საკონკურსო კომისიამ დაადგინა:

1. დადასტურებულად იქნეს მიჩნეული შპს „ოპტიმუსი“–ს მიერ წარმოდგენილ საკონკურსო წინადადებასთან დაკავშირებით კომისიის წევრის, მალხაზ ტაბლიაშვილის შენიშვნები და შპს „ოპტიმუსი“ დისკვალიფიცირებულ იქნეს კონკურსიდან;

2. შპს „ტოპ დიზაინი“-ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება ჩაითვალოს მისაღებად და მოწვეულ იქნეს ზეპირ ვაჭრობაზე 2013 წლის 25 აპრილს 11 სთ–ზე მონაწილეობის მისაღებად;

3. საკონკურსო კომისიის აპარატმა უზრუნველყოს ზეპირ ვაჭრობაზე მოწვევის შესახებ წერილის გაგზავნა შპს „ტოპ დიზაინი“-სთვის დაუყოვნებლივ;

4. საკონკურსო კომისიის აპარატმა უზრუნველყოს დისკვალიფიკაციის თაობაზე წერილის გაგზავნა შპს „ოპტიმუსი“–სთვის დაუყოვნებლივ.

კომისიის თავმჯდომარე: /ნინო ინწკირველი/

კომისიის წევრი: /მამუკა სამხარაძე/

კომისიის წევრი: /ზვიად ნადირაძე/

კომისიის წევრი: /ოლეგ დოლიძე/

კომისიის წევრი: /მალხაზ ტაბლიაშვილი/